ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. ჩიჩუების თვალის კლინიკა მზერა (ალექსანდრე ჩიჩუა) (ტელ: 599 51 15 35)

საფუძველი: 31.12.13 წ. 12/13365357-16

მისამართი: წინანდლის ქ. №9

საკადასტრო კოდი: №01/17/13/001/308

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: 05.12.2013 წ. №1023966 (AR 1178696 05.12.2013 წ.)

ფუნქციური დანიშნულება: მრავალპროფილიანი თვალის კლინიკა (III კლასი)

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (11.01.14) დადგინდა:

შენობის ფასადებზე სარდაფის და ტექნიკურ სართულში შეცვლილია ღიობების რაოდენობა, ადგილმდებარეობა და გაბარიტი. სართულებზე შეცვლილია ფანჯრების ნახატი. ტექნიკურ სართულში დამატებულია გამწოვები. შენობის ძირი არ არის მოპირკეთებული ქვის ფილებით. შეცვლილია კარნიზები. სახურავის პარაპეტზე არ არის მოწყობილი პროექტში ნაჩვენები ლითონის მოაჯირი.

7-1 ფასადზე შეცვლილია მოაჯირების ნახატი. აივნებზე შემცირებულია გამყოფი ტიხრების სიმაღლე. "2-1" მონაკვეთში სართულებზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი. "3-2" მონაკვეთში მეხუთე სართულზე კარ-ფანჯარას და ვიტრაჟს შეცვლილი აქვს ადგილმდებარეობა. აღნიშნულ მონაკვეთში სართულებზე შეცვლილია კარების ნახატი.

1-7 ფასადზე დამატებულია წყალმიმღები მილები.

ა-ზ ფასადზე კარის თავზე არ არის მოწყობილი საჩრდილობელი. არ არის მოწყობილი კარი. კიბეზე დამატებით მოწყობილია საფეხურები და შეცვლილია კიბის გვერდით არსებული კედლები. მესამე სართულზე აივანზე არ არის მოწყობილი მოაჯირი. კიბის გვერდით კედლები მოპირკეთებულია ფლეთილი ქვით. შეცვლილია სარკული მინაპაკეტის ნახატი.

ზ-ა ფასადზე "დ-გ" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი და კარის თავზე არ არის მოწყობილი საჩრდილობელი. "ზ-დ" და "გ-ბ" მონაკვეთებში შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი.

შენობის შიგნით სართულებზე ბეტონის და ბლოკის კედლები არ არის წარმოდგენილი განსხვავებული კონტურით. "1-2" და "5-7" მონაკვეთებში კიბის უკრედები მობრუნებულია. სარდაფში "5-6" მონაკვეთში წრიული ფორმის სვეტების ნაცვლად მოწყობილია ოთხკუთხედი ფორმის სვეტები. "3-4" მონაკვეთში არ არის მოწყობილი დონე.

პირველ სართულზე "2-3" მონაკვეთში არ არის მოწყობილი საფეხურები და მცირე ზომის პანდუსი.

ტექნიკურ სართულში "3-4" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბე და მის თავზე ასევე დამატებულია სახურავზე ამოსასვლელი სივრცე. აღნიშნულ ოთახში დამატებულია ღიობები.

სახურავზე დამატებული გამწოვები. "2-2" ღერძთან გაუქმებულია ღიობი.

გენ. გეგმის მიხედვით ეზოში შეცვლილია კიბის საფეხურები და წინა მხარეს დამხმარე შენობაში დამატებულია კიბე და სახურავზე (ფილაში) მოწყობილია ღიობი.

გენ. გეგმის მიხედვით შეცვლილია ღობეები და უკანა მხარეს ღობეში არ არის მოწყობილი ჭიშკარი. საპროექტო შენობის გვერდით ნახაზზე ნაჩვენები არსებული ქვის არასაცხოვრებელი შენობა დემონტირებულია.

ღობის ნაწილი სცდება საკადასტრო წითელ ხაზს.

ტექ. ხარვეზი: გეგმების ნახაზების მიხედვით შეცვლილია აივნების კუთხეები და განთავსებულია სვეტების კუთხეებთან. (შესრულებულია ფასადის ნხაზის მიხედვით)

გ.გეგელაშვილი

ვ.ამისულაშვილი